2:1 “დინამოს” სასარგებლოდ

16 დეკემბერს ბუქარესტში (რუმინეთი) თბილისის “დინამოს” გუნდმა ჩაატარა პირველი მატჩი ბუქარესტის რკინიგზის ფეხბურთელთა გუნდთან.

სტადიონი გავსებული იყო მაყურებლებით. მატჩის პირველი ტაიმი თბილისელთა უპირატესობით ჩატარდა. თამაშმა მეტად მწვავე ხასიათი მიიღო. მიუხედავად იმისა, რომ ბურთი სულ რუმინელების კართან ტრიალებდა, თბილისელებმა ვერ შესძლეს ვერც ერთი ბურთის გატანა. რუმინელთა მეკარე შესანიშნავად იცავდა თავის კარებს. პირველი ტაიმი დამთავრდა უშედეგოდ.

მეორე ტაიმის პირველსავე წუთებში პაიჭაძე–ჯეჯელავას კომბინაცია წარმატებით დამთავრდა და რუმინელთა კარებში გატანილ იქნა პირველი ბურთი. მალე მას მეორე ბურთი მოჰყვა, რუმინელები ცდილობენ საპასუხო ბურთების გატანას, მაგრამ ამაოდ.

მსაჯი თბილისელთა კარებში ნიშნავს საჯარიმო დარტყმას. აკრობატული ნახტომით შუდრა იღებს რუმინელი ცენტრთავდამსხმელის მიერ 25 მეტრის მანძილიდან ძლიერ დარტყმულ ბურთს. 36–ე წუთზე რუმინელები კვლავ სარგებლობენ საჯარიმო დარტყმით. შუდრამ ამჯერადაც აიღო “მკვდარი” ბურთი, მაგრამ რუმინელმა თავდამსხმელმა მიუსწრო მეკარის მიერ გადმოგდებულ ბურთს და თბილისის “დინამოს” კარებში გაიტანა პირველი და უკანასკანელი ბურთი.

თბილისელები კვლავ შეტევაზე გადავიდნენ. პაიჭაძის მიერ მოწოდებული ბურთი ჯეჯელავამ რუმინელთა კარში გაიტანა, მაგრამ მსაჯმა არ ჩათვალა, რადგან ჯეჯელავა თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა.

ამრიგად, მატჩი დამთავრდა ანგარიშით 2:1 თბილისის “დინამოს” სასარგებლოდ. მატჩს ესწრებოდნენ რუმინეთის მთავრობის მეთაური პეტრე გროზა, აგრეთვე რუმინეთის მთავრობისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

20 დეკემბერს თბილისის “დინამოს” წინააღმდეგ ითამაშებს “კარმენის” გუნდი, ხოლო ბოლო შეხვედრა მოეწყობა ტრანსილვანიის ფეხბურთელთა გუნდთან.

“ახალგაზრდა კომუნისტი”, 17 დეკემბერი 1945 წ.